საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1944 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№144 (6370) 1 დეკემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

ესტონეთის დელეგაცია საქართველოში

25 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ედგარ სავისაარის მეთაურობით. თბილისის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, აგრეთვე მინისტრები, საზოგადოებრიობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. ეს არის პირველი ოფიციალური დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდა მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ.

ჩვენი ესტონელი მეგობრების დელეგაცია, რომელშიც შედიან მინისტრთა კაბინეტის წევრები, ა. რესპუბლიკის მთავრობის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს მთავრობასთან პოლიტიკური, სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგებში ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის პროგრამის განსაზღვრის მიზნით.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ აღნიშნა, მომავალი მოლაპარაკება იქნება ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისათვის ჩვენი მთავრობის დიდი და პასუხსაგები მუშაობის დასაწყისი.

ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ედგარ სავისაარმა ქართველ ხალხს მიულოცა განვლილი მრავალპარტიული არჩევნები, დიდი შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

26 ნოემბერს დილით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა შეხვედრა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ედგარ სავისაარი. სტუმრებს მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

დაიწყო მოლაპარაკება ორ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.

სსრ კავშირის პრეზიდენტს
მ. ს. გორბაჩოვს

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმსჯელა რა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციაზე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს ერთხმად მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. კანონი ადასტურებს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის გზით იქნა წართმეული. გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად დღესაც რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება. მხოლოდ როცა მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას, მხოლოდ როცა გახდება სახელმწიფო ცხოვრების პოლიტიკურ და სხვა სფეროებში ჭეშმარიტად თავისი ბედის ბატონ-პატრონი და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქართველმა ხალხმ. შეიძლება აღჭურვოს რწმუნებით ხელი მოაწეროს რაიმე ხელშეკრულებას, ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა კავშირის [illegible] ფორმას.

ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს თვისებრივად ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობას.

უარს ამბობს რა ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს „საკავშირო ორგანოსადმი“ დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურასაც კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მზად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის საფუძველზე, რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

ყოველივე ზემოთთქმული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საფუძველს აძლევს ამ ეტაპზე უარი თქვას „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის“ დეტალურად განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება.

ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

ადამიანებში რწმენა მტკიცდება

ერთიანეთის თანადგომით

დღეს ის დროა, როცა ყველამ ერთად, ერთმანეთის თანადგომით უნდა ვიზრუნოთ იმ სასარგებლო საქმის გადაწყვეტისათვის, რაც საქართველოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვისაა საჭირო.

მე როგორც ძველი თაობის ქალმა, მთელი გულწრფელობით მინდა ვთქვა და ვაღიარო, იმ სამოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, მაგრამ დრო იყო ისეთი, დრო განსაზღვრავდა ადამიანთა მოქმედებას. ახლა, მთელი გულისყურით ვადევნებდი რა თვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას, რომელმაც აირჩია ახალი მთავრობა, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობები, მიიღო ახალი კანონები და დადგენილებები, მომავლისადმი იმედიანი განწყობილება მეუფლება, რაც შრომის ხალისს მმატებს, პასუხისმგებლობას მიძლიერებს საკუთარი და საერთოსახალხო საზრუნავისადმი. ვიცი და კარგად მაქვს შეგნებული, რომ ჩვენი ეკონომიკის განმტკიცება ჩვენზეა დამოკიდებული. ახლა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე გარდამავალი პერიოდი გამოვაცხადეთ. როგორც ერთი, ისე უნდა დავუდგეთ გვერდით რესპუბლიკის ახალ მთავრობას. არავის და არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს, ჩვენ როგორც გავირჯებით, როგორც გამოვიყენებთ ჩვენს რესურსებს, მოქმედების რა ნიჭსა და უნარს გამოვიჩენთ, ეკონომიკაც ისეთი გვექნება.

ლამარა სალინაძე.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო,

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში.

აღნიშნული კანონის 26-ე მუხლში სიტყვები: „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

ხილი: გეგმის შესრულებას ცოტა აკლია

ქალენდარული ზამთრის პირველი დღეა. სოფლის მეურნეობის მშრომელებს ისევ დარჩათ საქმე და საზრუნავი. ხილის დამზადება ისევ მიმდინარეობს, წელს მოსავალი კარგი იყო და რაიონის დამამზადებელი პუნქტების მუშაკებს არ ახსოვთ ამდენი ხილი მიეღოთ. გეგმის შესრულებასაც ბევრი აღარაფერი აკლია— 4270 ტონა თესლოვანი ხილია სულ დასამზადებელი რაიონში. 26 ნოემბრისათვის დამზადებულია 4174 ტონა. ასე რომ, გეგმა რომ შევასრულოთ, 96 ტონა ხილი კიდევ გვინდა.

ხილის დამზადების საქმეში კარგი მდგომარეობაა მთელ რიგ სოფლებში. ლაილაშის სასოფლო საბჭოს მოსახლეობამ 318 ტონა ხილი მიჰყიდა სახელმწიფოს, გეგმა 285 ტონა იყო. კარგად იშრომეს ლაჯანელმა მშრომელებმა, რომელთა კარმიდამოდან სახელმწიფოს 524 ტონა თესლოვანი ხილი მიეყიდა 378 ტონის ნაცვლად. გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს წიფერჩის, ღვირიშის, ლასურიაშის რეგიონების მშრომელებმა. ზუბისა და ოყურეშის სასოფლო საბჭოების მშრომელებს 468 ტონა ხილი უნდა ჩაებარებინათ, მათ დღეისათვის 745 ტონა ხილი აქვთ მიყიდული.

რეზერვები ისევ არის, ხილის მიღება-ჩაბარება გრძელდება.

პირველი მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი მუშაობას შუუდგა. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, დაისახა მომავლის გეგმები, მსჯელობის საგანი გახდა უპირველესად გადასაწყვეტი საკითხები. ქართველი ერი ინტერესით ადევნებს თვალყურს უზენაესი საბჭოს ყოველ სხდომას, დაუფარავი კმაყოფილებით ხვდება ყოველ საკეთილდღეო გადაწყვეტილებას. ისახება იმედი, რომ შეეძლებთ რეალურად მოვიპოვოთ ის, რაც მოკლე ხნის წინ მხოლოდ შორეულ მიზნად შეიძლებოდა მიგვეჩნია.

როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ?— ეი კითხვა, რომლითაც მივმართეთ ჩვენ რამდენიმე რესპონდენტს.

ლილი ლიპარტელიანი: იმედით ეუყურებ ეროვნულ პარლამენტს. მჯერა, რომ მოხდება ძირეული ცვლილებები ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, უპირველესად კი ეკონომიკური რეფორმა უნდა გატარდეს. დღესდღეობით დეფიციტია პირველი მოხმარების საგნებიც. მყარად ფეხმოკიდებულ დეფიციტს თან ახლავს ფასების სწრაფი ზრდაც. დასამალი არ არის, რომ არსებული ხელფასებით ძალიან გვიჭირს ცხოვრება.

კოოპერატივები რომ გაიხსნა, პირველად, ვიფიქრე, კარგია, უფრო სარისხიან პროდუქციას შევიძენთ, მაგრამ... მხოლოდ თვითხებურად გაზრდილი ფასები შეგვრჩა ხელთ. სახელმწიფო მაღაზიებში კი იკლო პროდუქციამ, რომელიც გაურკვეველი გზებით კოოპერატივთა მიერ გამოშვებული ნაწარმის ნედლეულად იქცა. აუცილებელია კოოპერატივებს ჰქონდეთ მათი საკუთარი ბაზა და ზღვრული ფასები.

სესიაზე ითქვა, რომ ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი განათლების სისტემაში. მე ორი მოსწავლის დედა ვარ. ვგრძნობ, რომ სკოლებში, სასწავლებლებში, სამწუხაროდ, არ არსებობს პირობები ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, დაბალია სწავლების დონეც, დღევანდელი მოსწავლე ვერ იძენს საჭირო ცოდნას რეპეტიტორის გარეშე.

მანანა გოგიძე: აღფრთოვანებული ვარ ეროვნული პარლამენტის არჩევნით—ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა. ჩემი აზრით, ბატონი ზვიადი, რომელიც

„ჩვენი ოპოზიციზმი რეალურია“

ერთი კითხვა და რამდენიმე რესპონდენტის პასუხი

პრობლემები მრავლადაა, ისიც ვიცით, მათი გადაწყვეტა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მაგრამ გვეიმედება, რომ ჩვენი ოპტიმიზმი საფუძვლიანია.

ბაბუცა ბაქრაძე: მოუთმენლად ველოდი ეროვნული პარლამენტის პირველ სესიას. მართლაც, რომ ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც სწამდა კომუნისტური პარტიის. სავალდებულოდ მივიჩნევდი ზევიდან მიღებული ყოველი დავალების შესრულებას, მჯეროდა მათი. ახლა ცხადდება, ვეგრძნობ, რომ ... 72 წლის მანძილზე ბრმად ვემორჩილებოდით, ვემსახურებოდით მას, რაც თურმე ფუჭ ნიადაგზე ყოფილა დაფუძნებული. პარტიის დიქტატის მსახური იყო პრესაც, იდეოლოგიის მთელი სფეროც.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მტკივნეულია ყოველივე ამის შევრძნება. შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს... ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უნდა ვიბრძოლოთ, ბრძოლა კი მხოლოდ უსისხლოდ, მშვიდობიანი გზით უნდა წარიმართოს. ყველამ, როგორც არასდროს, ვიგრძნოთ ერთმანეთის თანადგომის, მხარდაჭერის ძალა.

მანანა გოგიძე: აღფრთოვანებული ვარ ეროვნული პარლამენტის არჩევნით—ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა. ჩემი აზრით, ბატონი ზვიადი, რომელიც

ლილი ლიპარტელიანი: იმედით ეუყურებ ეროვნულ პარლამენტს. მჯერა, რომ მოხდება ძირეული ცვლილებები ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, უპირველესად კი ეკონომიკური რეფორმა უნდა გატარდეს. დღესდღეობით დეფიციტია პირველი მოხმარების საგნებიც. მყარად ფეხმოკიდებულ დეფიციტს თან ახლავს ფასების სწრაფი ზრდაც. დასამალი არ არის, რომ არსებული ხელფასებით ძალიან გვიჭირს ცხოვრება.

კოოპერატივები რომ გაიხსნა, პირველად, ვიფიქრე, კარგია, უფრო სარისხიან პროდუქციას შევიძენთ, მაგრამ... მხოლოდ თვითხებურად გაზრდილი ფასები შეგვრჩა ხელთ. სახელმწიფო მაღაზიებში კი იკლო პროდუქციამ, რომელიც გაურკვეველი გზებით კოოპერატივთა მიერ გამოშვებული ნაწარმის ნედლეულად იქცა. აუცილებელია კოოპერატივებს ჰქონდეთ მათი საკუთარი ბაზა და ზღვრული ფასები.

სესიაზე ითქვა, რომ ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი განათლების სისტემაში. მე ორი მოსწავლის დედა ვარ. ვგრძნობ, რომ სკოლებში, სასწავლებლებში, სამწუხაროდ, არ არსებობს პირობები ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, დაბალია სწავლების დონეც, დღევანდელი მოსწავლე ვერ იძენს საჭირო ცოდნას რეპეტიტორის გარეშე.

ბაბუცა ბაქრაძე: მოუთმენლად ველოდი ეროვნული პარლამენტის პირველ სესიას. მართლაც, რომ ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც სწამდა კომუნისტური პარტიის. სავალდებულოდ მივიჩნევდი ზევიდან მიღებული ყოველი დავალების შესრულებას, მჯეროდა მათი. ახლა ცხადდება, ვეგრძნობ, რომ ... 72 წლის მანძილზე ბრმად ვემორჩილებოდით, ვემსახურებოდით მას, რაც თურმე ფუჭ ნიადაგზე ყოფილა დაფუძნებული. პარტიის დიქტატის მსახური იყო პრესაც, იდეოლოგიის მთელი სფეროც.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მტკივნეულია ყოველივე ამის შევრძნება. შეცდომები აღარ უნ-

მთელი თავისი მრწამსით დაკავშირებულია ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან, ღირსეული ლიდერი იქნება ჩვენი ერისა იმ ძნელ გზაზე, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე რომ უნდა მიგვიყვანოს.

კარგა ხანი ვცხოვრობდით სიმართლის გარეშე, გაყალბებული იყო ერის ისტორიის მრავალი ფაქტი. ჩემს თაობას 1978 წელმა შეგვაცნობია თუ ვინ ვიყავით, რომ თავისუფლება გვწყუროდა.

ყურადღებით ვუსმენდი სესიას. მიღებული პირველი დადგენილებები, კანონები დაკავშირებულია ჩვენს ყოფაში არსებულ მტკივნეულ საკითხებთან. ბევრი მართალი სიტყვა ითქვა კულტურის სფეროს შესახებ ბატონ ნოდარ წულეისკირის მიერ.

პარტიული დიქტატი ძლიერი იყო ჩვენს მუშაობაში. გვქონდა გეგმა, რომ მკითხველს ერთი

რამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს ვერავითარი წინააღმდეგობებით ვერ დათრგუნავენ.

ერთიც მინდა აღვნიშნო, ძალზე მცირე ხელფასები გვაქვს, ღღეში ვმუშაობთ მანეთ და 10 კაპიკად, მაშინ, როდესაც ფასები კატასტროფულად იზრდება. თუმც მჯერა, რომ ეს პრობლემები დროებითია.

მანანა ხეცურიანი: კმაყოფილი ვარ მრავალპარტიული არჩევნებით. ეროვნული პარლამენტის პირველივე სესიამ არაერთი აუცილებელი კანონი, დადგენილება მიიღო. სესიაზე სამედიცინო

ნას კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც სჭირდება. ვფიქრობ, აუცილებელია ავეჭინს [illegible] ადამიანებისა [illegible] ალეურვიანი [illegible] ორიები.

ვლადიმერ მუშკუდიანი: დემოკრატიულად ჩატარებულმა არჩევნებმა თავისი ლოგიკური შედეგი მოგვცა, ერის ნების გამომხატველი დღეს მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტია.

მე მეიმედება ეროვნული პარლამენტის, რადგანაც პირველივე სესიაზე ვაღიარეთ, რომ სამარცხვინოა ოკუპანტთა არმიაში სამსახური, რომ გვჭირდება ეროვნული მილიცია, რომ აუცილებელია გათავისუფლდეს ეკონომიკა პარტიული დიქტატისაგან, შეიქმნას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

თავისუფლებისაკენ მიმავალთ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ქრისტიანი ერი ვართ და ვალდებულნი ვართ დავიცვათ სახარების ათი მცნება.

ბატონი აკაკი ასათიანის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლით იმპერიამ კიდეკ ერთხელ იგრძნო, რომ საქართველოს არ სურს მონის უღლის ტარება.

სესიის შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ საქართველო შეძლებს ახლო მომავალში იზეიმოს დამოუკიდებლობა, გახდეს საკუთარი ბედღლის განმგებელი.

* * *

ცხადია, პრობლემები, მძიმე და ძნელად გადასაჭრელი საკითხები მრავლადაა, ბევრი რამ თავიდან უნდა დავიწყოთ. წინ ძნელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რედაქციაში დარეკეს — მკითხველი პასუხს ითხოვს“

[illegible] ეს სრმიღზი აღელვებული ხმა ისმოდა. ღვარიშიდან ლია ნიკოლაიშვილმა შეგვატყობინა, რომ სოფელში შამთხვევიდან შემთხვევამდე მიაქვთ პერიოდული პრესა. ორ კვირაში ერთხელ თუ მივიღებთო „ახალ საქართველოს“, „სოფლის ცხოვრებას“ და სხვა გაზეთებს. ეს მაშინ, როცა დღეს, ასე მოელვარე პერიოდში, როგორც არასდროს, ისე მოველით გაზეთს, მით უფრო, რომ სოფელში ნორმალურად არც ტელევიზორი მუშაობს და არც რადიო.

იგივე ითქმის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“. დაგვიანება ერთია, გაზეთის 139-ე ნომერი საერთოდ არ მიგვიღია. გთხოვთ დაგვეხმაროთ.

* * *

ჩვენის მხრივ ვთხოვთ **კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობას,** მის სპეციალურ სამსახურს, პასუხი გასცენ ადრესატს. რა ხდება, ვინ არის დამნაშავე?

ფრონტელი ჯარისკაცის

ნევსკის სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელშიც მე ვირიცხებოდი, კარპატის მთების ჰშეგების მთაზე [illegible] [illegible] [illegible]

პედაგოგის ტრიბუნა

სკოლამდელი აღზრდის პროგლემები

სკოლამდელი აღზრდა სახალხო განათლების უწყვეტი სისტემის პირველი საფეხურია, რომელსაც საფუძვლად უდევს აღზრდისა და განვითარების იდეა.

სკოლამდელი აღზრდის მიზანს შეადგენს უზრუნველყოს აღზრდისათვის სრულყოფილი, ხალისიანი

ვინ, როგორი პიროვნება ახდენს ბავშვის სულიერი მოდელის ჩამოყალიბებას. მართალია, რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებს ჰყავს ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტები, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე მხოლოდ ორი სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი შეემატა ჩვენს სკოლამდელ დაწესებულებებს.

რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებს აკლია ახალგაზრდა

დაუდებლად მისახედი.

მეტ მზრუნველობას მოითხოვს სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. დღემდე აშენებულ სკოლამდელ დაწესებულებებს არ გააჩნიათ ფიზკულტურის დარბაზი და საცურაო აუზები. კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ქალაქის №1 და №2, ლაილაშის საბავშვო ბაღები. რეკონსტრუქციას მოითხოვს ლაჯანის საბავშვო ბაგა-ბაღი, ბავშვთა დიდი კონტიგენტის გამო შენობა ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს.

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებს დღეს ხელთ გვაქვს საქართველოს სკოლამდელი აღზრდის კონცეფცია (ჯერჯერობით პროექტის სახით), რომლის შინაარსის საძირკველში დევს ილიასეული პრინციპი—„ენა, მამული სარწმუნოება“. ეს კი გულისხმობს ეროვნულ ტრადიციებთან და კულტურასთან ბავშვის ზიარებას... მათში ეროვნული ცნობიერების საწყისების ჩამოყალიბებას, სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვას, რაც ჰუმანიტი მამულიშვილის, ჰუმანური პიროვნების აღზრდის საფუძველია...

ამის განხორციელებისათვის საჭიროა სკოლამდელ დაწესებულებებში მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი და შევქმნათ კეთილმოწყობილი გარემო პირობები.

ზ. ბურჯანაძე,

სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი.

და ემოციურად მდიდარი ბავშვობა. ყოველივე ეს კი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურ მეთოდებს იყენებენ სკოლამდელი დაწესებულებები თავიანთ საქმიანობაში. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სწორად არის დაგეგმილი სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობა. აქედან გამომდინარე ბავშვთა აღზრდა მოითხოვს: სწორ მეთოდურ მუშაობას, დღის რეჟიმის დაცვას, კვების ბლოკის და სანიტარული წესრიგის სრულყოფას.

პედაგოგიური პროცესის ცენტრში დგას პიროვნება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ

კვალიფიციური კადრი, რის გამოც იძულებული ვხდებით ამ დაწესებულებებში დავასაქმოთ სხვა სპეციალობის მქონე პირები, რომლებთანაც ვატარებთ სათანადო მუშაობას, ვეხმარებით, ვამზადებთ, ვგზავნით კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ბავშვის აღზრდა-ფორმირებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს სრულფასოვანი და რეგულარული კვების და ძილის ორგანიზაციას. დღეს რთული პრობლემებია ბაგა-ბაღის კვების პროდუქტებით მომარაგებაში. ისინი ნორმის მიხედვით ვერ ღებულობენ ხორცს, ზოსტნეულს, რძის ნაწარმს. ესაა ჩვენი საერთო საზრუნავი და გა-

წერილები »ლეჩხუმს«

ანგარიში გავუწიოთ ერთმანეთს

კაცმა სიმართლე უნდა თქვას—კარაქი არ გვენატრებოდა. ქალაქის სასურსათო მაღაზიებს იგი შემოჰქონდათ და თუ ქალაქებში ტალონებზე იძლეოდნენ, ჩვენთან თავისუფლად იყო. რამდენიც გვსურდა, ვყიდულობდით.

ბოლო ორი თვეა შეფერხდა კარაქის შემოტანა. გვესმის სიძნელეები და ხმას არ ვიღებთ, პირიქით, მზადა ვართ ხვალ მეტი მოვითმინოთ, მაგრამ ერთია გულსაწყვეტი—კარაქი 2-ჯერ შემოიტანა ქალაქის №2 სასურსათო მაღაზიამ (მადლობის მეტი რა გვეთქმის), მაგრამ იყიდა იმან, ვინც [illegible] დგა და ჰქონდა ამის საშუალება. მაგრამ [illegible] ძლია საათობით დატოვოს სამუშაო? ან ხომ შეიძლება სულაც ვერ გაიგოს რა დროს რა მოდის მაღაზიაში ამ დროს ხალხი ისეა შეშინებული და პანიკამდე მისული, რომ თუ ხელი მიუწვდა, რატომ 5 კილოს ერთად არ აიღებს, ამიტომ ბევრი მთლად დაზარალებული რჩება.

ჰოდა, ხომ არ აჯობებს შემოვიღოთ კარაქის სიით ან ტალონით გაცემა. ჩვენი წილი, ცოტა გვერგება თუ ბევრი, ჩვენთვის იქნება და გულსაწყვეტიც აღარავიზე არაფერი გვექნება.

ვფიქრობთ არაა ეს რთული საქმე და უნდა მოგვარდეს.

მომხმარებელი.

ახალი მასწავლებელი მოდისო ამბობდნენ ბავშვები. ჩვენც დიდი მღელვარებით ველოდით მის გამოჩენას.

ორშაბათი იყო. გერმანულის საკლასო ოთახში ვართ. მოლოდინით დავიღალეთ, ერთი სული გვაქვს როდის ვიხილავთ ახალ მასწავლებელს. კარი გაიღო და უცებ... ჩვენივე ტოლი, ჩვენსავით ცქრიალა გოგონა შემოვიდა, ყველამ თვალი მივაპყარით, ალბათ ახალი კლასელია—გავიფიქრე.

მე ვარ გერმანულის მასწავლებელი, ჩემი სახელია ნატო—გაგვეცნო მასწავლებელი.

ის დღე გადაიქცა ჩვენი მეგობრობის დასაწყისად. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის გაიბა ურღვევი მეგობრობის კავშირი. ჩვენი ჭირი და მწუხარება ნატო მასწავლებლის მწუხარება იყო, სიხარულსაც ერთად ვიზიარებდით.

თქვენი გაკვეთილებით ცხოვრებაში

დრომ სწრაფად გაირბინა, ნატო მასწავლებლის ხელშივე ავიყარეთ ტანი, დავჭაბუკდით და დავქალიშვილდით. მისი სიტყვებით დღესაც ვხელმძღვანელობთ: გახსოვდეთ სამშობლო მეორე ღმერთია, მას ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც საკუთარ დედასო.

ახლა ვიხსენებთ იმ ტკბილ გაკვეთილებს, ლაჯანის სკოლა-ინტერნატში გატარებულ წლებს, ყველაფრისათვის მადლობა, ნატო მასწავლებელო!

სოფიო გურჯაღიანი.

სოფ. ორბელი.



მარიიელის რესპუბლიკა. ზვენგოვსკის რაიონის სოფელ ჰოიან-სოლას ხელმძღვანელობა ცდილობს თვითონ დააკმაყოფილოს მშრომელები ასეთი კონსტრუქციის კეთილმოწყობილი სახლებით სურათზე. აქაურთა გამოცდილებას უკვე სხვაგანაც იზიარებენ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დღიურიდან

ხალ[illegible] ადგილობრივი [illegible]ასლეობა შეწუხებულ[illegible] [illegible]დათ. მე მიკვირს ადგილობრივი მთავრობა როგორ ითმენდა ამ ამბავს—განაგრძობდა საუბარს პოლკოვნიკი.

პოლკოვნიკ ზოლატარის ეს სიტყვები მაშინ გამახსენდა, როცა ამ ბოლო ხანებში ე. წ. თურქმესხებმა იერიში მოიტანეს ჩვენზე და უკან ჩამოსახლებას მოითხოვდნენ. მათი დაუნდობელი და არაკეთილი ხასიათი დადასტურდა, დადასტურდა იმიტომ, რომ სადაც ისინი ცხოვრობდნენ თავის ერთმორწმუნე ხალხთან, იქაც ალბათ დაანგვიანეს ყველაფერი და ადგილობრივი მცხოვრებნი იძულებული გახდნენ ცემა-ტყეპით გამოეყარათ თავისი რესპუბლიკიდან.

აქვე მინდა დავძინო, რომ წარსულის სიხამდვილეს და ისტორიულ ფაქტებს ნუ დავამახინჯებთ, ეს არ გვეპატიება. ამ ბოლო ხანებში ახალგაზრდობის მცირე ნაწილი ასე სვამს საკითხს: „თქვენ არ უნდა გეომათ ჰიტლერელების წინააღმდეგ. ისინი, რომ მოსულიყვნენ, „ბავარიის პივა“ ახლა თავსაყარად გვექნებოდა. მინდა ამ გამოუცდელ ყმაწვილებს ვუთხრა, რომ „ბავარიის პივა“ არ იქნებოდა, მაგრამ ოსვენციმი კი.

„ოსვენციმი“—ტყვეთა ეს ბანაკი პოლონეთის ქალაქ კრაკოვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. აქ [illegible] გერმანელებმა დიდი ტყვეთა ბანაკი მოაწყვეს. სპეციალური რკინიგზის ხაზი ამ ბანაკის მოზრდილ მინდორზე შედის. იქვე მოწყობილია აბანო, თუ კი მას „აბანოს“ დავარქმევთ.

აბანო ჰქვია, მაგრამ მასში წყალი ჯერ არავის უნახავს. ამ აბანოსთან იქვე მოწყობილია კრემატორიუმი ორი დიდი საკვამლე მილით. როცა ტყვეებს ვაგონებით მოიყვანდნენ, გადმოსხამდნენ რკინიგზის ამ დიდ მოედანზე, გამოვიდოდა ესესელი და ტყვეებს განუცხადებდა: ყველამ თქვენი ბარგი-ბარხანა ამ მოედანზე ცალ-ცალკე დააწყვეთ, თან ფუნჯსა და ქილაში მოთავსებულ საღებავს ჩამოურიგებდა და ეტყოდა: ყველამ თქვენს ნივთებს თქვენი სახელი და გვარი დააწერეთ, აქვე აბანოში უნდა გატარდეთ და მის შემდეგ თქვენს ნივთებს მიიღებთ (მაგრამ ამ მოედანზე უკან დაბრუნებული ადამიანები ჯერ არავის უნახავს). როცა აბანოში ტყვეთა ერთი დიდი ჯგუფი შევიდოდა, აბანოს კარები იკეტებოდა, კარებზე ხვრელი იყო დატანებული. აბანოს თავზე ადიოდა ესესელი და მაღლიდან აბანოში მომწამლავ ნივთიერებას ყრიდა. ოცდაათი-ორმოცი წუთის შემდეგ შიგ „მობანავე“ ადამიანები გაგუდულ მაწაზე ეყარნენ. მკვდრებს აწყობდნენ პატარა ხელის რონოდებზე და გაჰქონდათ იქვე პატარა მოედანზე. ამ მოედანზე ყველას უსინჯავდნენ ხახას და ვისაც ოქროს კბილები [illegible], აძრობდნენ. ამის შემდეგ გვამებს იქვე კრემატორიუმის გავარგარებულ ღუმელში ჰყრიდნენ. ეს ვეებერთელა კრემატორიუმი დღედაღამ გაუჩერებლად მუშაობდა.

გულახდილად მინდა ვთქვა, გერმანიას რომ გაემარჯვა და იგი ამიერკავკასიაში შემოსულიყო, ბავარიის ლუდის ნაცვლად ერთ ასეთ კრემატორიუმს გახსნიდა და ალბათ მთელ კავკასიელ ხალხს „მოემსახურებოდა“.

„ბავარიის პივის“ საკითხს ისეთი ახალგაზრდები აყენებენ, რომლებსაც ჯერ ცხოვრებაში არავითარი სიძნელეები არ უნახავთ და არ განუცდიათ ომის, ის საშინელება, რაც საბჭოთა ხალხმა და მთელმა კაცობრიობამ გადაიტანეს მეორე მსოფლიო ომში.

ნუ ავყვებით ემოციებს, ადამიანებს უნდა დაუფასდეთ დაღვრილი სისხლი. ნუ ვიტყვით, რომ საზოგადოებას მიელი სამოცდაათი წლის მანძილზე არაფერი გაეკეთებინოს, მხოლოდ თურმე ისხდნენ და ამთქნარებდნენ.

შ. გოგებაშვილი,

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ვარშავის საპატიო მოქალაქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვექხება საკაბელო ტელევიზია— ვინ იქნება მსურველი?

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბიროს გადაწყვეტილი აქვს სათავეში ჩაუდგეს ქალაქის ტერიტორიაზე (მის ახლომახლო უბნებში) დამონტაჟდეს საკაბელო ტელევიზიის დანადგარი ეს გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ჩანაფიქრის განხორციელება ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ოჯახი იქნება სიახლის დანერგვის მსურველი.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად შეგიძლიათ მოგვმართოთ.

ჩვენი მისამართია: ქ. ცაგერი. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბიროო.

ბილოსაკვეთი

თინიკო მირიანის ასულ ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გულით გისურვებთ გაზრდილიყო სასახელო ქართველი ქალი ყველა შენი ახლობლის გასახარად.

ნანული, თინიკო, ბელა, დადაში გოლეთიანები.

ბელა ბენიას ასულ სალინაძეს
როლანდ ვალიკოს ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. სიხარული, სიკეთე და ბედნიერება ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

სოფო, ბადრი ჭოხონელიძეები.

მილოსი მახაროგლიძეს
თამიცა, ბელა მურცხვაღაძეებს

გილოცავთ შვილიშვილისა და შვილის, გაგას ბედნიერებას. სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

ლაჯანის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მარო გურგუჩიანს
გურამ დავითულიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.

ნანი ახვლედიანს
ემზარ დავითულიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის საამაყო ვაჟკაცი.

ნინო, ტარიელ ახვლედიანები, ლელა, ჯონი ურთმელიძეები, აზა, ლამზირა დავითულიანები, ნატო მახარობლიძე, მუ[illegible]ოგლიშვილ, მთვარისა სილაგაძეები, ნინო [illegible]ოლ.

გუგავა.

გიორგი ველას ძე დაშნიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხალისიან ბავშვობას და ბედნიერ მომავალს. გაიზარდე დედისა და ყველა კეთილი ახლობლის სასახელო ვაჟკაცი.

თამარ დაშნიანი, ანა, დალი, მევლუდ ლიპარტელიანები.

ლამზირა მდივანს
შურმან ყურაშვილს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ქალი. მრავალი და-ძმა შემატებოდეს

კუკური მდივანი ოჯახით.

ხათუნა ყვირილიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარულით გაგევლოს ცხოვრების გზა. გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებებს.

ნათია, თინიკო ლიპარტელიანები.

გულწრფელია ცრემლი ჩვენი

მ.საგონარი

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება მხოლოდ იმ ადამიანთა ხვედრია, ვინც ამ ქვეყნად პატიოსანი კაცის ცხოვრებით იცხოვრა. სწორედ მართალი კაცის ცხოვრების მაგალითი გახლდათ ოყურეშელი ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილი, რომლის ხანმოკლე სიცოცხლე—შრომით, კაცობით, სიკეთითა და პატიოსნებით სავსე, არაერთ საუკუნოვან დღეგრძელობას გადაფარავდა.

ჯემალ ყურაშვილი ამ რამდენიმე დღის წინ დაიტირეს და გააცილეს უკანასკნელ გზაზე თანასოფლელებმა. მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი. ამ მოუსვენარმა, ქვეყნად სიკეთისათვის გაჩენილმა კაცმა მხოლოდ 50 წელი იცოცხლა. უყვარდა სოფელი, მშობლიური მთა და ბარი, ვერ ელეოდა და აკი წინაპართა გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ჯემალ ყურაშვილს არც უძებნია და არც ჰქონდა ჩინ-მედლები, სამაგიეროდ ჰქონდა ადამიანური გული, ნაღდი ქართველობა. იყო შესანიშნავი მეურნე, მევენახე, სოფლის ჭირისა და ლხინის აქტიური მონაწილე.

მშობლიურ სათიბ-სანახებში ხშირად შეხვდებოდით. საკვებმომპოვებელთა რაიონულ კონკურსში რამდენიმე წელს ზედიზედ პირველ ადგილზე გამოსული ჩვენი გაზეთის უცვლელი პრიზიორი იყო.

თვალწინ გვიდგას და არ გვავიწყდება რა ხათრიანი ღიმილით, მოკრძალებით შემოაღებდა რედაქციის კარებს პრიზის მისაღებად. ეუხერხულებოდა საჩუქრის მისაღებად მოსვლა.

ამას წინათ ოყურეშის ღვინის საწარმოში გამორჩეულად გვითხრეს—ჯემალ ყურაშვილმა 3 ტონა ყურძენი ჩაგვაბარაო. და ის იყო მისი მარჯვენა ერთხელ კიდევ უნდა შეგვექო, რომ მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ.

ქართული ჯიშისა და გენის, ამ სულგანათლებული კაცის ბუნებრივი ანარეკლია ის თბილი და ტკბილი ოჯახი, რომელიც ჯემალს დარჩა.

წავიდა ჩვენგან მშრომელი, ალალი კაცი, ნაღდი პიროვნება, ოჯახის მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

მსუბუქი იყოს მისთვის ის მიწა, რომელმაც ეს-ესაა მიიბარა, ალალი-გულწრფელი ცრემლი ჩვენი.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

შვილები: ციალა, დალი, რძლები თინა, ვენერა, თამრიკო, მული ნინა, მაზლი რაფიელი, სიძეები გურამ მამარდაშვილი, ლომდარ ახვლედიანი, შვილიშვილები: გოჩა, ლოლა, შორენა, ლიკა, ნანი, მალხაზი, შვილთაშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარო ერასტის ასული
აკობიძე-ჩაკვეტაძე.

დაკრძალვა 4 დეკემბერს, სამშაბათს, სოფ. ზუბში.

ენერგოგასაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გურამ მამარდაშვილს სიდედრის

მარო აკობიძე-ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ვალოდია გოგიძე, ამირან ჭარხალაშვილი, გოგი ნემსწვერიძე, მურთაზ კოპალიანი, ბადრი ჭოხონელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი პლატონის ასული
შკუბულიანი-ლიპარტელიანი.

რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალვინა გასვიანს დეიდის

ნაზიკო გუგავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ ემზარ გუგავას მამიდის

ნაზიკო გუგავას

გარდაცვალების გამო.

ბუჭუ, ბიძინა გუგავები, შურა შკუბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი შკუბულიანი-
ლიპარტელიანი.

შვილები გივი, თინა, ბაბუცა, რუბენი, შოთა, რუსიკო, ლენა, სიძეები მიხეილ კოპალიანი, ეორა ახვლედიანი, ანზორ კვირკაშვილი, გრიშა ნემსწვერიძე, რძლები სონა, ზაირა, მერი, ზინა, შვილიშვილები როინი, მაყვალა, როზეტა, დავითი, რუსიკო, იური, სოსო, ბესიკი, ია, ზურაბი, ტარიელი, ავთანდილი, დიანა, მიშა, სოფო, ბადრი, სოსო, ვალერი, ციური, ცისანა, ემზარი, დავითი, ნინო, ლევანი, დათო, ნატო, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სონა ტარასის ასული
თაგვაძე-ლაჭყეპიანი

დაკრძალვა 4 ნოემბერს, სამშაბათს, სოფ. ლასხანაში.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ბაგრატის ასული
ჭოხონელიძე-მეშველიანი.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს თინა, ღუღუნი შკუბულიანებს მულისა და დის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ დათო გუგავას მამიდის

ნაზი გუგავა-ონიანის

გარდაცვალების გამო.

ბახვა კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ, ემზარ, სოზარ ლიპარტელიანებს დედის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჩიტო მეშველიანს და ლელა ჭოხონელიძეს დედისა და მამიდის

ლენა ჭოხონელიძე-მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ენუქი ჩაკვეტაძე, შოთა დაშნიანი, შოთა საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლიპარტელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გივი ასათიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლილი პლატონის ასული
ლიპარტელიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, ფუზა უგრეხელიძეებს

შოთა უგრეხელიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა ბენდელიანს მამიდის

ნადია ბენდელიანი-მინდაძის

გარდაცვალების გამო.

გოგი გაჩეჩილაძე ოჯახით იუწყება მამიდაშვილის

ნაზი გუგავას

გარდაცვალებას.

პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოფო გოგიძეს დეიდის

ლილი პლატონის ასული
ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. ტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ... ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.